საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები
2018

24.05.2019
www.geostat.ge

24.05.2019

შინამეურნეობის შემოსავლები და ხარჯები

(2018 წელი)

შემოსავლები

2018 წელს საქართველოს მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების (ფულადი და არაფულადი სახსრების) მოცულობამ 1,187.2 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 0.5 პროცენტით აღემატება.

მოსახლეობის საშუალო თვიური ფულადი და არაფულადი სახსრების განაწილება, 2010-2018 წლებში



2018 წლის მონაცემებით, საშუალო თვიური შემოსავლების (ფულადი და არაფულადი სახსრების) მოცულობა ერთ შინამეურნეობაზე 1,123.5 ლარს, ხოლო ერთ სულზე 318.3 ლარს შეადგენდა.

საშუალო თვიური ფულადი და არაფულადი სახსრების მოცულობა ერთ შინამეურნეობაზე და ერთ სულზე, 2010-2018 წლებში



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, შინამეურნეობების შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები, რომლის წილიც, 2018 წელს, გასულ წელთან შედარებით 3.4 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 83.0 პროცენტი შეადგინა.

საშუალო თვიური ფულადი და არაფულადი სახსრების განაწილება ძირითადი წყაროების მიხედვით, 2010-2018 წლებში



შინამეურნეობების მთლიანი შემოსავლების (ფულადი და არაფულადი სახსრების) მოცულობა გაცილებით მაღალი იყო ქალაქის დასახლებაში და 760.7 მილიონ ლარს შეადგენდა. აღნიშნული მაჩვენებელი 426.5 მილიონი ლარის ფარგლებში იყო სოფლად.

2018 წელს ფულადი შემოსავლებისა და ტრანსფერტების სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს დაქირავებული შრომიდან მიღებულ შემოსავლებს (49.7 პროცენტი), ასევე შემოსავლებს თვითდასაქმებიდან (11.4 პროცენტი). გარდა ამისა, სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილით (17.9 პროცენტი) არის წარმოდგენილი პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები და საჩუქრად მიღებული ფული (9.0 პროცენტი).

ფულადი შემოსავლების და ტრანსფერტების პროცენტული განაწილება 2018 წელს



ხარჯები

2018 წელს საქართველოს მოსახლეობის საშუალო თვიურმა ხარჯებმა 1,164.5 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 0.1 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

მოსახლეობის საშუალო თვიური ხარჯები 2010-2018 წლებში



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, საშუალო თვიური ხარჯების მოცულობა ერთ შინამეურ-ნეობაზე 1,102 ლარს, ხოლო ერთ სულზე - 312.2 ლარს უტოლდება.

საშუალო თვიური ხარჯები ერთ შინამეურნეობაზე და ერთ სულზე 2010-2018 წლებში



2018 წელს, წინა წელთან შედარებით შინამეურნეობის სამომხმარებლო ფულადი ხარჯების წილი მთლიან ხარჯებში 0.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 66.8 პროცენტი შეადგინა.

საშუალო თვიური ხარჯების განაწილება ძირითადი კატეგორიების მიხედვით, 2010-2018 წლებში



შინამეურნეობების შემოსავლების მსგავსად, ხარჯების მოცულობა გაცილებით მაღალი იყო ქალაქის დასახლებაში და 749.5 მილიონ ლარს შეადგენდა, ხოლო აღნიშნული მაჩვენებელი სოფლად 415 მილიონ ლარს უტოლდებოდა.

2018 წლის მონაცემებით, სამომხმარებლო ფულადი ხარჯების სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი (37.4 პროცენტი) უჭირავს სურსათზე, სასმელზე და თამბაქოზე გაწეულ ხარჯებს, რაც თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი ქვემოთ მოცემულ გრაფიკში:

სამომხმარებლო ფულადი ხარჯების პროცენტული განაწილება 2018 წელს



საკონტაქტო პირები:
ირმა გვილავა, ტელ.: 2 36 72 10 (608), E-mail: igvilava@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge